THE RESTORATION OF UKRAINIAN STATE INDEPENDENCE (30 JUNE 1941) AND THE BEGINNING OF THE CONFLICT BETWEEN THE THIRD REICH AND UKRAINIAN NATIONALIST ORGANIZATION

უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1941 წლის 30 ივნისი) და დაპირისპირების დასაწყისი მესამე რაიხსა და უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციას შორის

GIORGI TSOMAIA
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
#1 Chavchavadze st.Tbilisi, Georgia
+995-599467178, giorgi.tsomaia @tsu.ge
https://orcid.org/0009-0007-2531-294X

Abstract. The article on the basis of the primary sources (Archival data, published documents), memoirs and scholarly literature shows that from the very first days of the German-Soviet war the Ukrainian nationalists were in the conflict with the leadership of the Third Reich.

On June 30th, 1941, in Lviv the Ukrainian nationalists, headed by Stepan Bandera, adopted the Act of Restoration of the Ukrainian State. According to this document, the Organization of Ukrainian Nationalists (OUN) declared the restoration of the Ukrainian state in Western Ukraine with the aim to expand its control, in a close co-operation with the Germans, over all Ukrainian lands in future. At first glance, this was a good opportunity for the Third Reich to get a highly-motivated ally against the Soviet Union since the Ukrainians were the second largest ethnical group in the USSR. Nevertheless, the reality was different. This act started the conflict between the German ruling circles and Ukrainian nationalists. The Germans detained Stepan Bandera and Yaroslav Stetsko and moved them to Berlin. They also arrested about 1500 other members of OUN. Since the leaders of the Ukrainian nationalists continued their activities and protested the non-recognition of the Ukrainian independence, the Germans moved Bandera and Stetsko first to Spandau prison in September, and then to Sachsenhausen concentration camp in 1942. In November-December of 1941, the Germans also attacked the second part of the OUN – the group of Andriy Melnik. They dissolved the Ukrainian National Rada functioning in Kyiv (from 5 October 1941) and put Melnik under home arrest.

The Ukrainian nationalists did not leave these steps unanswered. At the end of September and beginning of October of 1941 the first conference of the OUN(b) was held near Lviv. They declared that Bandera group would operate from underground. The Melnik group followed with the same decision in December of 1941. Despite this, the Ukrainian nationalists still did not declare Nazi Germany as their enemy. They took into consideration the fact that the Ukrainian nationalists could not fight on two fronts – against the Soviets and the Germans – at the same time. Thus, they made the following calculations: first, defeat the Soviet Union and only after that start the struggle against weakened Germany to restore the independence of Ukraine. It could be stated that from that time on Germany was just a temporary, situational ally for the Ukrainian nationalists.

Keywords: Ukrainian nationalists; Stepan Bandera; Andriy Melnyk; Ukraine; OUN; Third Reich.

გიორგი ცომაია
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #1
+995-599467178, giorgi.tsomaia@tsu.ge
https://orcid.org/0009-0007-2531-294X

აბსტრაქტი. სტატიაში, პირველწყაროებზე (საარქივო მასალები, გამოქვეყნებული დოკუმენტები), მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, ფაქტობრივად, გერმანია-სსრკ-ს ომის პირველივე დღეებიდან დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ მესამე რაიხის ხელმძღვანელობასთან.

1941 წლის 30 ივნისს ლვივში (ლვოვი) უკრაინელმა ნაციონალისტებმა, სტეპან ბანდერას ხელმძღვანელობით, მიიღეს დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფოს აღდგენის აქტი. ამ დოკუმენტის მიხედვით, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია (უნო) აცხადებდა უკრაინის სახელმწიფოს აღდგენას დასავლეთ უკრაინაში და, გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, შემდგომში მისი კონტროლის დამყარებას ყველა უკრაინულ მიწებზე. ერთი შეხედვით, მესამე რაიხისათვის ეს იყო მშვენიერი შესაძლებლობა, სსრ კავშირში შემავალი ერთ-ერთი უმსხვილესი ერის სახით, მიეღო მაღალი მოტივაციის მქონე მოკავშირე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ეს აქტი იქცა დაპირისპირების დასაწყისად გერმანიის ხელისუფლებასა და უკრაინელ ნაციონალისტებს შორის. გერმანელებმა დააკავეს სტეპან ბანდერა და იაროსლავ სტეცკო და გადაიყვანეს ისინი ბერლინში. უშუალოდ ლიდერების გარდა, გერმანელები ორგანიზაციის ჩვეულებრივ წევრებსაც დაერივნენ. სულ დაპატიმრებულ იქნა 1500-მდე ადამიანი. ვინაიდან უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერები განაგრძობდნენ აქტიურობას და პროტესტს გამოთქვამდნენ უკრაინის დამოუკიდებლობის არცნობის გამო, ბანდერა და სტეცკო 1941 წლის სექტემბერში ჯერ შპანდაუს ციხეში მოათავსეს, 1942 წლიდან კი – ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში გერმანელები უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის მეორე ნაწილს – ანდრეი მელნიკის ფრთასაც გაუსწორდნენ. მათ დაშალეს კიევში მოქმედი უკრაინის ეროვნული რადა (შეიქმნა 1941 წლის 5 ოქტომბერს), თავად მელნიკი კი ბერლინში შინაპატიმრობაში მოათავსეს.

უკრაინელმა ნაციონალისტებმა გერმანელების ეს ნაბიჯები უპასუხოდ არ დატოვეს. 1941 წლის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ლვივთან ახლოს გაიმართა უნო(ბ)-ს პირველი კონფერენცია, სადაც გამოცხადდა ორგანიზაციის იატაკქვეშეთში გადასვლის შესახებ. დეკემბერში იგივე გადაწყვეტილება მიიღო მელნიკის ფრთამაც. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში უკრაინელი ნაციონალისტები ჯერ კიდევ არ აღიარებდნენ ნაცისტურ გერმანიას მტრად. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე – გერმანელებისა და საბჭოელების წინააღმდეგ – ბრძოლას ვერ შეძლებდნენ.

შესაბამისად, გათვლა იყო ასეთი: ომის მოგება საბჭოთა კავშირთან და მხოლოდ შემდეგ ბრძოლა დასუსტებული გერმანიის წინააღმდეგ უკრაინის დამოუკიდებლობის აღსადგენად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტიდან უკრაინელი ნაციონალისტებისთვის გერმანია იქცა დროებით, სიტუაციურ მოკავშირედ.

საკვანძო სიტყვები: უკრაინელი ნაციონალისტები; სტეპან ბანდერა; ანდრეი მელნიკი; უკრაინა; უნო; მესამე რაიხი.

შესავალი. მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე (1939-1941 წლები) გერმანიის ხელისუფლების დამოკიდებულება უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ გარკვეულწილად შეიცვალა. თუ ადრე ისინი მათ გამოყენებაზე ფიქრობდნენ პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეხმარებოდნენ კიდეც სხვადასხვა სახით, პოლონეთის საბჭოთა კავშირთან გაყოფის შემდეგ უკრაინული მიწები სსრკ-ს შემადგენლობაში აღმოჩნდა. გერმანია და საბჭოთა კავშირი კი ამ პერიოდში მოკავშირეები იყვნენ. მოგვიანებით, სსრ კავშირზე თავდასხმის მზადების დროს, ერთი შეხედვით, ეს ვითარება კვლავ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ გერმანიის ხელმძღვანელობას იმ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ რა მომავალი უნდა ჰქონოდა უკრაინას, რომლის დამოუკიდებლობის აღდგენა მესამე რაიხის გეგმებში არ შედიოდა. თავის მხრივ, უკრაინელ ნაციონალისტებს სურდათ უკრაინის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც სცადეს კიდეც გერმანია-სსრკ-ს ომის პირველსავე დღეებში. ნაშრომის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ იქცა ეს აქტი და გერმანელების რეაქცია მასზე დაპირისპირების დასაწყისად მესამე რაიხის ხელმძღვანელობასა და უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციას შორის.
მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ უამრავი ნაშრომი არსებობს (მაგალითად, Armstrong, 1963; Motyka, 2006; Кентій, 1998; Кентій, 1999; Патриляк, 2012 და ა.შ.), თუმცა ამ ასპექტს შედარებით ნაკლებად ექცევა ყურადღება. სწორედ ამიტომ არის საზოგადოებაში გაბატონებული აზრი, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, განსაკუთრებით კი – სტეპან ბანდერა და მისი მომხრეები, გერმანელების მოკავშირეები იყვნენ.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: სისტემური ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, სინთეზი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

შედეგები. სტატიაში, პირველწყაროებზე (საარქივო მასალები, გამოქვეყნებული დოკუმენტები), მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, ფაქტობრივად, გერმანია-სსრკ-ს ომის პირველივე დღეებიდან დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ მესამე რაიხის ხელმძღვანელობასთან. ეს პროცესი იმ პერიოდში ღია კონფლიქტში არ გადაიზარდა მხოლოდ იმის გამო, რომ უკრაინელ ნაციონალისტთა ხელმძღვანელობა მთავარ მოწინააღმდეგედ საბჭოთა კავშირს თვლიდა და ორ ფრონტზე ბრძოლა შეუძლებლად მიაჩნდა.

დისკუსია. 1941 წლის 30 ივნისს ლვივში (ლვოვი) უკრაინელმა ნაციონალისტებმა,

სტეპან ბანდერას ხელმძღვანელობით, მიიღეს დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფოს აღდგენის აქტი. ამ დოკუმენტის მიხედვით, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია (უნო) აცხადებდა უკრაინის სახელმწიფოს აღდგენას დასავლეთ უკრაინის მიწებზე, რაც იყო იმ ბრძოლის დაგვირგვინება, რომელსაც აწარმოებდა უკრაინელი ხალხი ბოლშევიკების წინააღმდეგ ევგენ კონოვალეცის[1] მეთაურობით. ამავე დროს, ეს ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ უკრაინის სუვერენული სახელმწიფო ყველა უკრაინულ მიწაზე[2] არ დაამყარებდა კონტროლს. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში (ОУН в 1941 році, ч. 1, 2006: 250-251).

ერთი შეხედვით, მესამე რაიხისათვის ეს იყო მშვენიერი შესაძლებლობა, სსრ კავშირში შემავალი ერთ-ერთი უმსხვილესი ერის სახით, მიეღო მაღალი მოტივაციის მქონე მოკავშირე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ეს ასე არ მოხდა. მართალია, გერმანელები უკრაინელებს შესაბამის წვრთნასაც კი უტარებდნენ და აიარაღებდნენ, მაგრამ ეს ძირითადად მიმართული იყო პოლონელების წინააღმდეგ (Трофимович, Усач, 2011: 600) და 1939 წელს პოლონეთის დაპყრობის შემდეგ პროცესი ფაქტობრივად შეწყდა. ფუნქციონირებდა მხოლოდ სპეციალური კურსები კრაკოვში, სადაც უკრაინელ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ სამხედრო დისციპლინებს, ნაციონალიზმის იდეოლოგიას, იატაკქვეშეთის ორგანიზებას, პროპაგანდის წარმოებას, დაზვერვას და კონტრდაზვერვას, წითელი არმიის, სახელმწიფო უსაფრთხოების და საბჭოთა კავშირის მართვის სისტემას, დაკითხვების მეთოდიკებს და ა.შ. (Патриляк, 2005: 26). სხვა მხრივ კი, მოკავშირის წინააღმდეგ სერიოზულ ქმედებებს იმ პერიოდში ისინი არ გეგმავდნენ. მიუხედავად ამისა, უკრაინელი ნაციონალისტები თვითონ ემზადებოდნენ ამბოხებისთვის. 1940 წლის მარტიდან დაიწყო მათი სპეციალური რაზმების გადასვლა უკრაინის ტერიტორიაზე, რომლებსაც ევალებოდა შტაბების შექმნა. ამბოხება 1941 წლის გაზაფხულზე დასავლეთ უკრაინაში უნდა დაწყებულიყო (Кук, 1999: 30). ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ამბოხების მოწყობის მცდელობა მხოლოდ უკრაინელი ნაციონალისტების იდეა იყო და არსებულ წყაროებში არ იძებნება ინფორმაცია, რომ გერმანიის ხელისუფლება ამის შესახებ ინფორმირებული იყო. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების პროცესში მსგავსი ამბოხება მათ მიზნებში, სავარაუდოდ, არც შედიოდა.

როგორც საარქივო წყაროებიდან ირკვევა, უკრაინელების გააქტიურება საბჭოთა მხარეს შეუმჩნევლად არ დარჩენია და 1941 წლის 10 აპრილს, შესაძლო შეიარაღებული ამბოხების აღსაკვეთად, ახლად შექმნილი სახელმწიფო

[1] ევგენ კონოვალეცი (1891-1938) იყო უკრაინის დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი, უკრაინა-რუსეთის 1917-1918 და 1919 წლების ომების მონაწილე, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1929 წ.) და უცვლელი მეთაური 1938 წელს მის მკვლელობამდე.

[2] სავარაუდოდ, აქ იგულისხმებოდა არა მხოლოდ უკრაინის სსრ-ს ტერიტორია, არამედ დღევანდელი რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ნაწილები, რომლებიც ძირითადად უკრაინელებით იყო დასახლებული ჰოლოდომორამდე, კერძოდ: ყუბანისპირეთი, სტავროპოლის ოლქის ნაწილი, როსტოვის ოლქის ნაწილი, ვორონეჟის ოლქის ნაწილი, ბელგოროდის ოლქი პრაქტიკულად მთლიანად და კურსკის ოლქის ნაწილი. აღნიშნულ ტერიტორიებზე უკრაინელები პრეტენზიას ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამოთქვამდნენ.

უშიშროების სახალხო კომისარიატის დასავლეთ უკრაინის ოლქების განყოფილებების ხელმძღვანელებს დაევალათ უნო-ს წევრი არალეგალებისა და აგენტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და შემდგომ მათ წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება 15-დან 20 აპრილის პერიოდში (Всем начальникам УНКГБ западных областей УССР. ГДА СбУ, Ф.9. Спр. 4. Т. 9. Арк. 54-58). როგორც საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, საბჭოთა მხარე აქ გარკვეულ პრობლემებს წააწყდა და პრაქტიკულად ვერც ერთი აგენტის დაკავება ვერ მოახერხა (Директива агентурно-оперативной работы в оуновском подполье и руководителях ОУН (М). ГДА СбУ, Ф. 9. Спр. 43, Арк. 85-99). საბოლოო ჯამში, უკრაინელებმა ამბოხებაზე უარი თქვეს, რაც, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირზე გერმანიის მოახლოებული თავდასხმით იყო განპირობებული.

მიუხედავად ამისა, გერმანია-სსრკ-ს ომის დაწყების პირველმა დღეებმა ცხადყო, რომ უკრაინელი ნაციონალისტები უკეთეს მზადყოფნაში იყვნენ, ვიდრე საბჭოთა სპეცსამსახურები. სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე, უკრაინელმა ნაციონალისტებმა დაიწყეს ამბოხება დასავლეთ უკრაინის მთელ რიგ რაიონებში და დაიკავეს სოფლებისა თუ პატარა ქალაქების ნაწილი. გარდა ამისა, ისინი წარმატებით ებრძოდნენ წითელი არმიისა და შსსკ-ს შინაგანი ჯარების ნაწილებს (Патриляк, 2005: 33-34). სწორედ ამ ფონზე მოხდა უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის იმ ნაწილის მიერ, რომელსაც სტეპან ბანდერა ხელმძღვანელობდა (უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია 1940 წლიდან ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ მათგანს – უნო(მ) ხელმძღვანელობდა ანდრეი მელნიკი, მეორეს კი – უნო(ბ) – სტეპან ბანდერა. ორგანიზაციის ძველი წევრები ძირითადად მელნიკს უჭერდნენ მხარს, ახალგაზრდები კი – ბანდერას) და უკრაინის ეროვნული მთავრობის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბანდერას მოადგილე უნო(ბ)-ს რიგებში – იაროსლავ სტეცკო.

გერმანელების რეაქცია უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენაზე მკვეთრად უარყოფითი გამოდგა. მათ დააკავეს სტეპან ბანდერა და იაროსლავ სტეცკო და გადაიყვანეს ისინი ბერლინში, სადაც დროებით შინაპატიმრობაში მოათავსეს. მიუხედავად ამისა, უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერები განაგრძობდნენ აქტიურობას და სხვადასხვა სახის მემორანდუმებს უგზავნიდნენ გერმანიის ხელმძღვანელებს, სადაც აღწერდნენ შექმნილ სიტუაციას. სხვა საკითხებთან ერთად, ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ უკრაინის დამოუკიდებლობის არცნობის გამო. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში სტეცკო აღნიშნავდა, რომ ის დააკავეს 9 ივლისს (ლვივში) და გადაიყვანეს ბერლინში, სადაც 12 ივლისს დაიწყო გამოძიება უკრაინული სახელმწიფოს გამოცხადების გამო. სტეცკო აცხადებდა, რომ ისინი არ აპირებდნენ შეგუებას უკრაინის ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ გერმანელი ჩინოვნიკების ნეგატიურ ქმედებებთან, რის შედეგადაც მათ არ შეეძლოთ მშობლიურ მიწაზე თავისი ფუნქციების შესრულება, ხოლო უკრაინელებს ხელი ეშლებოდათ ხელმძღვანელობის დავალებების შესრულებაში. სტეცკო არ ცნობდა არც გალიჩინის შეერთებას გენერალ-საგუბერნატოროსთან და არც ბუკოვინისა და ბესარაბიის ოკუპაციას რუმინეთის მიერ. აქედან გამომდინარე, სტეცკო ხაზს უსვამდა, რომ ამ კონკრეტულ მომენტში უკრაინის ეროვნულ მთავრობას არ ჰქონდა პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ სიცოცხლეში გაეტარებინა ყველა მისი

გეგმა და დაეცვა უკრაინელი ხალხის ინტერესები გერმანიის წინაშე, მაგრამ ის რჩებოდა უკრაინელი ხალხის მორალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ წარმომადგენლად და მისი ინტერესებისა თუ უფლებების დამცველად უკრაინის სახელმწიფოს რეალურ შექმნამდე (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 419-422).

უშუალოდ ლიდერების გარდა, გერმანელები ორგანიზაციის ჩვეულებრივ წევრებსაც დაერივნენ. 17 ივლისს ბერლინიდან უკრაინის ოკუპირებულ ოლქებში მივიდა ბრძანება, რომლის მიხედვით უნდა დაეკავებინათ სალაშქრო ჯგუფების წევრები, რომლებიც აგრძელებენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროპაგანდას (Патриляк, 2012: 131). იმავე დღეს გერმანელებმა დახურეს უნო-ს ოფიციალური განყოფილებები ლვივში და დასავლეთ უკრაინის სხვა ქალაქებში. 5 აგვისტოს კი, ვერმახტის მე-17 არმიის სარდლობის მიერ გამოიცა ბრძანება „ბანდერას ჯგუფის“ წევრი უკრაინელი პოლიტიკური აგიტატორებისა და პროპაგანდისტების დაპატიმრების შესახებ (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 423).

გასაგებია, რომ ასეთი დამოკიდებულების შემდეგ უკრაინელი ნაციონალისტები ანტიგერმანულად განეწყვნენ. ყოველ შემთხვევაში, სრული თანამშრომლობა ეჭვის ქვეშ დადგა. მით უმეტეს, რომ ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელებმა რამდენიმე წინაპირობა დააყენეს უნო-ს წინაშე, რომელთა შესრულების შემდეგ ისინი კონფლიქტს ამოწურულად ჩათვლიდნენ: 1. უნო-ს წევრებს ეკრძალებოდათ პარტიული აგიტაციის ჩატარება და ამის ნაცვლად უნდა დაკავებულიყვნენ მხოლოდ ზოგადუკრაინული პროპაგანდით; 2. უნო-ს ეკრძალებოდა ცოცხალი პიროვნებების პროპაგანდა; 3. უნო ვალდებული იყო, გაეუქმებინა უკრაინული მთავრობა, რომელიც ლვივში იმყოფებოდა (Кентій, 2005: 89).

უკრაინელი ნაციონალისტებისათვის ასეთი წინაპირობების შესრულება მათი ქმედებების და საქმიანობის პარალიზებას ნიშნავდა. უკრაინული სახელმწიფოს გამოცხადება უკრაინელი ნაციონალისტების ნანატრი ოცნების შესრულება იყო. მართალია, ეს იყო მხოლოდ გამოცხადების აქტი, რასაც, ბუნებრივია, უფრო სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ გერმანული მხარის უარი მის ცნობაზე გამოიწვევდა უნო-ს დისკრედიტაციასა და მისი პოზიციების შესუსტებას პატრიოტულად განწყობილ უკრაინელებში. დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა იყო უნო-ს არსებობის უმთავრესი მიზანი. ისინი სწორედ ამ იდეისთვის იბრძოდნენ 1941 წელს და ამ შეგნებით მოქმედებდნენ პოლონეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში. აქედან გამომდინარე, მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო გერმანელების მოთხოვნა ლვივში გამოცხადებული უკრაინული ხელისუფლების გაუქმების შესახებ.

14 სექტემბერს უკრაინელმა ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს გერმანიის ხელისუფლებისადმი მიმართული საპასუხო მემორანდუმი (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 436-443), რომელშიც ხაზგასმული იყო 1941 წლის 30 ივნისის აქტის მნიშვნელობა როგორც ზოგადად, ისე უკრაინულ-გერმანული ურთიერთობებისათვის. ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებაში ნაციონალისტებმა 8 მიზეზი დაასახელეს:

1. უკრაინელები წლების განმავლობაში იბრძოდნენ მოსკოვის წინააღმდეგ, მანამ, სანამ ეს ომი (საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი) დაიწყებოდა.
2. უკრაინელებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად და გერმანიასთან ურთიერთობების მოსაგვარებლად, რასაც

ფაქტები ადასტურებდნენ.

3. გერმანია და უკრაინა იბრძოდნენ ვერსალის სისტემის გაუქმებისათვის, რომლის ლოგიკური გაგრძელება იყო რიგის ხელშეკრულება, რომლითაც უკრაინა გაყოფილ იქნა პოლონეთს და რუსეთს შორის.
4. გერმანია და უკრაინა ცდილობენ ახალი და სამართლიანი წყობილების შექმნას, სადაც ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხალხები აბსოლუტურ თავისუფლებაში განვითარდებიან.
5. უკრაინული სახელმწიფოს გამოცხადება ნიშნავს უკრაინის ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარების გამოყენებას ახალი ევროპის მშენებლობისათვის.
6. უკრაინული სახელმწიფოს ხელისუფლების დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა 1941 წლის 3 ივლისს, აღნიშნულია, რომ უკრაინის უმთავრესი მიზანია ბრძოლის გაგრძელება ომში გამარჯვებამდე და თანამშრომლობა გერმანიასთან ყველა სფეროში.
7. უკრაინელების ინიციატივა თავისი სახელწიფოს გამოცხადების შესახებ ნიშნავს ასევე იმას, რომ გერმანული პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში თავისი იდეალების ასრულება თავისუფლად შეიძლება.
8. უნო-ს ყველა მცდელობა, დაემყარებინა თანამშრომლობა გერმანიის ხელმძღვანელობასთან და გამოემუშავა პოლიტიკური საფუძვლები ერთობლივი ტაქტიკისათვის, უშედეგოდ დასრულდა. გერმანული მხარის წარმომადგენლებს ხან არ გააჩნდათ შესაბამისი უფლებამოსილებები ამ საკითხის მოსაგვარებლად, ხან კიდევ ნაადრევად მიიჩნევდნენ მის განხილვას (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 439-440).

მემორანდუმის დასკვნით ნაწილში მისი ავტორები აცხადებდნენ: სანამ არ არსებობს სხვა უკრაინული ხელისუფლება და სანამ გერმანია ოფიციალურად არ გამოქვეყნებს თავის მოსაზრებას უკრაინული სახელწიფოს საკითხთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი გადაწყვეტილებები უკრაინასთან მიმართებაში მხოლოდ იმწამიერ აუცილებლობას წარმოადგენენ და წინააღმდეგობაში მოდიან უკრაინული მიწების ერთობასთან, 1941 წლის 30 ივნისს ლვივში გამოცხადებული უკრაინული სახელმწიფოს ხელისუფლების ლიკვიდაცია დიდ ზიანს მოუტანს არა მარტო უკრაინას, არამედ გერმანიასაც (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 442).

როგორც ვხედავთ, უკრაინელმა ნაციონალისტებმა ამ მემორანდუმში ყურადღება გაამახვილეს 1941 წლის 30 ივნისის აქტზე, უკრაინული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე და სიტყვა არ დაუძრავთ გერმანული მხარის სხვა მოთხოვნებზე. გასაგებია, რომ არც ცოცხალი პირების სახელით პროპაგანდის წარმოება და არც პარტიული აგიტაციის წარმოება არ იყო მნიშვნელოვანი საკითხი უკრაინელი ნაციონალისტებისათვის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ისინი მზად იყვნენ ამ საკითხებთან დაკავშირებით კომპრომისზე წასულიყვნენ. გარდა ამისა, ეს საკითხები ისედაც უმნიშვნელო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის სახელმწიფოს აღიარება მოხდებოდა. სწორედ ამიტომ გახდა უკრაინის სახელმწიფოს აღდგენის აქტი დავის საგანი მესამე რაიხის ხელმძღვანელებსა და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციას შორის. გერმანელები არ აპირებდნენ, ყურადღება მიექციათ რაიმე სახის მემორანდუმისთვის. იმ პერიოდში გერმანელები საბჭოთა კავშირთან ომს

პრაქტიკულად მოგებულად თვლიდნენ, ამიტომ უკრაინის დამოუკიდებლობა მათ გეგმებში არ შედიოდა. შესაბამისად, მათ მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტეს. 1941 წლის 15 სექტემბერს გესტაპომ დააკავა უნო-ს წევრები, საერთო ჯამში 1500 ადამიანი. ყველაზე მნიშნელოვანი ამ ოპერაციაში იყო ის, რომ დაპატიმრებულებს შორის აღმოჩნდნენ სტეპან ბანდერა, იაროსლავ სტეცკო და უნო-ს სხვა ლიდერები. ბანდერა და სტეცკო ჯერ ბერლინში, შპანდაუს ციხეში მოათავსეს, 1942 წლიდან კი გადაიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკ ზაქსენჰაუზენში. ისინი მხოლოდ 1944 წლის შემოდგომაზე გაათავისუფლეს (Кентій, 2005: 91). ეს, სხვათა შორის, მთლიანად სპობს არგუმენტს, რომ სტეპან ბანდერა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში თანამშრომლობდა გერმანელებთან, რაც ასე გავრცელებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში და რასაც დღემდე ამტკიცებს რუსული ისტორიოგრაფია.

თავის მხრივ, უკრაინელი ნაციონალისტები გერმანელების ასეთი ნაბიჯების უპასუხოდ დატოვებას არ აპირებდნენ. 1941 წლის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ლვივთან ახლოს გაიმართა უნო(ბ)-ს პირველი კონფერენცია, სადაც გამოცხადდა, რომ ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადადიოდა. აღნიშნული კონფერენციის მსვლელობის მასალები ჯერჯერობით არ იძებნება. დიდი ვარაუდით, ისინი ან დაიკარგა, ან, კონსპირაციის გამო, სხდომების ოქმების შედგენა არ მომხდარა. არსებობს ერთადერთი დოკუმენტი – „უნო-ს საქმიანობის განხორციელების ინსტრუქცია“, რომელიც ნამდვილად იქნა მიღებული აღნიშნულ კონფერენციაზე და რომელიც იძლევა ცნობას იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები (Бутко, Кентій, 1998: 110) მართალია, ინსტრუქციაში გერმანია მტრად არ იყო მოხსენიებული და ხაზგასმული იყო კონფლიქტების თავიდან აცილების აუცილებლობა, მაგრამ აქვე გაკრიტიკებული იყვნენ ის უკრაინელები („სხვა იმპერიალიზმების მსახურები“), რომელთა „საქმიანობა აზიანებდა ბრძოლას დამოუკიდებელი უკრაინისთვის“ (ОУН в 1941 році, ч. 2, 2006: 531). ეს ძირითადად ეხებოდა უნო(მ)-ის წევრებს და „სხვა იმპერიალიზმებში“ ცალსახად გერმანელები იგულისხმებოდნენ, თუმცა სულ მცირე ხანში მესამე რაიხი უკვე მელნიკის დაჯგუფების წევრებსაც დაერია. 1941 წლის 25 ნოემბერს გერმანელებმა დაშალეს ანდრეი მელნიკის მხარდამჭერების მიერ შექმნილი (1941 წლის 5 ოქტომბერი) კიევში მოქმედი უკრაინის ეროვნული რადა და დეკემბერში გაწმინდეს „არასაიმედო ელემენტებისგან“ კიევის საქალაქო სამმართველო (Патриляк, 2012: 146). თავად მელნიკი შინაპატიმრობაში იქნა აყვანილი ბერლინში. წლის ბოლოსთვის მელნიკელებს შემდეგი არჩევანი ჰქონდათ გასაკეთებელი: ისინი ან იატაკქვეშეთში გადადიოდნენ, ბანდერელების მსგავსად, ან ტოვებდნენ უკრაინის ტერიტორიას. ოლეგ კანდიბამ, რომელიც ხელმძღვანელობდა უნო(მ)-ს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, პირველი ვარიანტი აირჩია. ხელმძღვანელობასთან აქტიური კონსულტაციების შემდეგ, შეიქმნა ინსტრუქცია, რომელიც გამოქვეყნდა 4 დეკემბერს. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ საჭირო იყო ღრმად კონსპირირებული ორგანიზაციის შექმნის ტაქტიკისკენ დაბრუნება, ახალგაზრდობასთან გაძლიერებული აგიტაციური მუშაობა, მომზადება გერმანელ ოკუპანტებთან ხანგრძლივი ბრძოლისათვის, აქტიური კონტრდაზვერვითი ღონისძიებების ჩატარება საბჭოთა და გერმანული დაზვერვების წინააღმდეგ, კომპრომეტირებული აგენტების გადაყვანა სხვა ოლქების იატაკქვეშეთში, საორგანიზაციო აქტივის გადაყვანა

კიევიდან სხვა ქალაქებში, ეტაპობრივად თავისი მხარდამჭერების გამოყვანა სამოქალაქო და კულტურულ უწყებებიდან და მათი შეცვლა ადგილობრივი უკრაინელებით, იარაღის დაგროვება და სამხედრო კადრების რეესტრის წარმოება (Шумелда, 1955: 271).

დასკვნები

ამრიგად, უკრაინული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. უკრაინელმა ნაციონალისტებმა ვერ შეასრულეს თავისი ჩანაფიქრი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი მთავარი მოკავშირე ამის წინააღმდეგი იყო. 1941 წელს გერმანელების გეგმებში დამოუკიდებელი უკრაინის არსებობა არ შედიოდა. 1941 წლის მიწურულისთვის უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ორივე ფრთა იატაკქვეშეთში გადავიდა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ისინი, მათი ლიდერებისა და წევრების დიდი ნაწილის დაპატიმრების შემდეგაც კი, ჯერ არ აღიარებდნენ ნაცისტურ გერმანიას როგორც მტერს. უკრაინელები აცნობიერებდნენ, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე – გერმანელებისა და საბჭოელების წინააღმდეგ – ბრძოლას ისინი ვერ შეძლებდნენ. შესაბამისად, გათვლა იყო ასეთი: ომის მოგება საბჭოთა კავშირთან და მხოლოდ შემდეგ ბრძოლა დასუსტებული გერმანიის წინააღმდეგ უკრაინის დამოუკიდებლობის აღსადგენად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტიდან უკრაინელი ნაციონალისტებისთვის გერმანია იქცა დროებით, სიტუაციურ მოკავშირედ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Armstrong, John (1963). *Ukrainian Nationalism.* New York: Columbia University Press.
2. Бутко С. В., Кентій А. В. (1998). *На шляху до збройного чину. Інструкція до переведення в життя цілости діяльности ОУН.* Український історичний журнал, 1998, № 4, გვ. 110-112.
3. *Всем начальникам УНКГБ западных областей УССР.* Галузевий Державний Архів Служби безпеки України (ГДА СБУ), ф. 9, спр. 4, т. 9, арк. 54-58.
4. *Директива агентурно-оперативной работы в оуновском подполье и руководителях ОУН(М).* ГДА СБУ, ф. 9, спр. 43, арк. 85-99.
5. Кентій А.В. (1998). *Нариси з історії Організації українських націоналістів (1929-1941).* Київ.
6. Кентій А.В. (1999). *Нариси з історії Організації українських націоналістів в 1941-1942 роках.* Київ.
7. Кентій А.В. (2005). *Перехід ОУН(Б) на антинімецкі позиції (1941-1942).* წიგნში: *Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси.* Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, გვ. 88-113.
8. Кук В. (1999). *Степан Бандера.* Івано-Франківськ: Лілея-НВ.
9. *ОУН в 1941 році (2006).* Документи. В 2-х ч. Київ.

10. Патриляк И. К. (2005). *Тактика і стратегія українських націоналістів на початковому етапі Другої Світової Війни.* წიგნში: *Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси.* Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, გვ. 15-87.
11. Патриляк И. К. (2012), *«Встань і борись! Слухай і вір…»: українське націоналістичне підпілля та повстанський рух (1939-1960 рр.).* Львів: Часопис.
12. Патриляк И. К. (2012). *Перемога або смерть: український визвольний рух у 1939-1960 році.* Львів: Часопис.
13. Трофимович, В., Усач, А. (2011). *Військові відділи націоналістів.* წიგნში: *Україна у Другій світовій війні: джерела та інтерпретації (до 65-річчя Великої Перемоги). Матеріали міжнародної наукової конференції* (გვ. 599-607). Відповідальний редактор Легасова Л. В. Київ: Аеростат, გვ. 599-607.
14. Шумелда Я. (1955). *Організація Українських Націоналістів 1929-1954.* Париж.

REFERENCES

1. Armstrong, John (1963). *Ukrainian Nationalism.* New York: Columbia University Press.
2. Butko S.V. Kentij A.V. (1998). Na shljahu do zbrojnogo chinu. Instrukcija do perevedennja v zhittja cilosti dijal'nosti OUN [On the Way to the Military Rank. The Instruction for the Implementation of the Activities of OUN]. Ukraïns'kij istorichnij zhurnal [The Ukrainian Historical Journal], 1998, № 4, pp. 110-112.
3. Vsem nachal'nikam UNKGB zapadnyh oblastej USSR [To All Heads of Departments of People's Commissariat of the State Security of the Western Districts of the Ukrainian Soviet Socialist Republic]. Galuzevyj Derzhavnyj Arhiv Sluzhby bezpeky Ukrai'ny (GDA SBU) [The Sectoral State Archive of the Security Service of Ukraine (SSA SSU)], fund 9, ref. 4, v. 9, pp. 54-58.
4. Direktiva agenturno-operativnoj raboty v ounovskom podpol'e i rukovoditeljah OUN(M) [The Directive of Secret Service and Operative Work in the OUN Underground and about the Leaders of OUN(M)]. GDA SBU [SSA SSU], fund 9, ref. 43, pp. 85-99.
5. Kentij A.V. (1998). *Narysy z istorii' Organizacii' ukrai'ns'kyh nacionalistiv (1929-1941)* [Studies from the History of the Organization of the Ukrainian Nationalists (1929-1941)]. Kyiv.
6. Kentij A.V. (1999). *Narysy z istorii' Organizacii' ukrai'ns'kyh nacionalistiv v 1941-1942 rokah* [Studies from the History of the Organization of the Ukrainian Nationalists (1941-1942)]. Kyiv.
7. Kentij A.V. (2005) Perehid OUN-B na antinimec'ki pozicii (1941-1942) [The Transition of the OUN-B to the Anti-German Position (1941-1942)]. In: Organizacija ukraïns'kih nacionalistiv i Ukraïns'ka povstans'ka armija: Istorichni narisi. [The Organization of the Ukrainian Nationalists and the Ukrainian Insurgent Army: Historical Studies]. Vidpovidal'nyj redaktor S. V. Kul'chyc'kyj [Editor-in-Chief S. V. Kulchitsky], Kyiv: Naukova Dumka, pp. 88-113.
8. Kuk V. (1999). Stepan Bandera. Ivano-Frankivsk, Lileja-NV.
9. OUN v 1941 roci [OUN in 1941]. (2006). Dokumenti. V 2-h chastinax [Documents. In 2 parts]. Kyiv.
10. Patriljak I. K. (2005). *Taktyka i strategija ukraïnskyh nacionalistiv na pochatkovomu etapi Drugoï Svitovoï Vijny [The Tactics and Strategy of the Ukrainian Nationalists at*

the First Stage of the Second World War]. In: Organizacija ukraïns'kih nacionalistiv i Ukraïns'ka povstans'ka armija: Istorichni narisi. [The Organization of the Ukrainian Nationalists and the Ukrainian Insurgent Army: Historical Studies]. Vidpovidal'nyj redaktor S. V. Kul'chyc'kyj [Editor-in-Chief S. V. Kulchitsky], Kyiv: Naukova Dumka, pp. 15-87.

11. Patriljak I. K. (2012). «Vstan' i boris'! Sluhaj i vir…»: ukraïns'ke nacionalistichne pidpillja ta povstans'kij ruh (1939-1960 rr.) ["Stand Up and Fight! Listen and Believe...": The Ukrainian Nationalist Underground and Rebel Movement]. Lviv: Chasopis.
12. Patriljak I. K. (2012). *Peremoga abo smert': ukrai'ns'kyj vyzvol'nyj ruh u 1939-1960 roci [Victory or Death: The Ukrainian Liberation Movement in 1939-1960]*. Lviv: Chasopis.
13. Trofymovych, V., Usach, A. (2011). Vijs'kovi viddily nacionalistiv [Military Units of the Nationalists]. In: *Ukrai'na u Drugij svitovij vijni: dzherela ta interpretacii' (do 65-richchja Velykoi' Peremogy). Materialy mizhnarodnoi' naukovoi' konferencii'*. Vidpovidal'nyj redaktor Legasova L. V. [Ukraine in the Second World War: Sources and Interpretations (Dedicated to the 65th Anniversary of Great Victory). The Materials of the International Scientific Conference. Editor-in-Chief Legasova L. V.] Kyiv: Aerostat, pp. 599-607.
14. Shumelda Ja. (1955). Organizacija Ukraïns'kih Nacionalistiv 1929-1954 [Organization of the Ukrainian Nationalists]. Paris.